№ 191 სექტემბერი 5, ხუთშაბათი 1886 სექტემბერი 5, ხუთშაბათი № 191

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დ კრიქურ-ც-ს წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 4 სექტემბერი

ჩვენ წინადვე ვსთქვით, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თავი ხიზნობაში შეაფარაო. ჩვენ ამაში ვხედავთ ხიზნობის საზოგადოებურს მნიშვნელობას. მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა სამშვილიშვილო იყოს და ღალა, თუ გადასახადი, ერთსა და იმავე ჭდეზედ იდგეს უცვალებელად — ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია-რომ საკუთრების ხელ-შეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არყევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად.

კანონ-მდებლობანი, საკუთრების ხელ-შეუხებლობის მოძღვრებაზედ აგებულნი, დღეს აქამომდე მარტო ერთ გვარს შეზღუდვას პირადის საკუთრებისას იცნობენ. ამ შეზღუდვას უწოდებენ „ექსპროპრიაციას", რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კერძო მოსაკუთრეს სახელმწიფო საჭიროებისათვის ძალა-უნებურად ჩამოერთმევა ხოლმე მიწა და მის სამაგიეროდ სასყიდელი ეძლევა. ამ სახით კერძო საკუთრება თვის ხელ-უხლებლობას სთმობს ზოგად საჭიროებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას თვის ზღუდეს არღვევინებს.

თუმცა მიწის პატრონს ამ შემთხვევაში სასყიდელი ეძლევა, მაგრამ მაინც ეს ამბავი კერძო უფლების ზღუდეთა ცოტაოდენ შერღვევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აქ საკუთრების დათმობა იძულებულია, ძალა-უნებური და არა ნება-ყოფლობითი მოსაკუთრის მხრით. იმისთანა მიწის ხმარებას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახიან, ამას გარდა სხვა ახალი გვარი შეზღუდვაც შეაქვს პირადის საკუთრების მოძღვრებაში და ეს შეზღუდვა მით უფრო ძირეული და ძლიერია, რომ უსასყიდლოა: იხუთება პირადი ელემენტი საკუთრებისა სასარგებლოდ ზოგადის ელემენტისა და შეხუთვის საზღაურად არა რა სასყიდელი არ ეძლევა. მამულის პატრონი ხიზნობის წესით ნება-მოკლებულია: 1) აჰყაროს ხიზანი უიმისოდ, რომ არ უზღოს ყველაფერი, რასაც ხიზანი მის მამულში სტოვებს და 2) მოუმატოს ღალა-გადასახადი. ამ სახით მამულის პატრონი ღონე მიხდილია მოიხმაროს თვისი საკუთრება თვისის სურვილისამებრ და ეს რა არის, თუ არ შერღვევა იმ მაგარის კედლისა, რომელსაც პირადს საკუთრებას ეძახიან!...

როცა 1872 წელს გლადსტონმა თვისი სახელოვანი ბილლი გაიყვანა პარლამენტში და მით ჩვენებურ ხიზნობის მაგვარს „ულსტერის ჩვეულებას" კანონის მფარველობა მიანიჭა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იგი ჩვეულება კანონად გადააქცია, ემილ დე-ლაველემ ამაზედ აი რა სთქვა:

> „მე არ ვიცი არც ერთი მაგალითი ისტორიაში, რომ სადმე ერი ესე შორს წასულიყო თვისთა დედა-აზრთა წინააღმდეგ საშველად უბედურის და ღონე მიწურულ მკვიდრთა. არც ერთს კანონ-მდებლობას ეხლანდელ ევროპისას არ დაუდგენია, არ შეუწყნარებია კანონად წესი, ესოდენ „მრავალ-მნიშვნელობიანი" თავის შედეგითა... არსად და არას დროს არ მიუნიჭებიათ ამისთანა საგანგებო უფლება და ხეირი სოფლის მცხოვრებთათვის"...

რამოდენადაც საქმეთა ვითარებამ ხელი შეგვიწყო, იმოდენად აღვნიშნეთ ჩვენ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა. ვინც ჩვენ ნათქვამს უფრო მეტს ყურს ათხოვებს, ვიდრე ისე გაკვრით წაკითხულს, თქმულს საგნის შესაფერად ასწონს და არა თქმულს თვითონ იგულისხმებს, იმან არა გვგონია ჩვენთან ერთად არ აღიაროს იგი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა, რომელიც მის ბუნებაში ჩასახა თვითონ ერმა და რომელსაც დღეს აქამომდე ჰზრდიდა.

ვინც ამ მნიშვნელობას ხიზნობისას თვალ-ნათლად წარმოიდგენს, იმისათვის მეტად გაადვილებული იქნება პასუხის-გება ამ საკითხავზედ: დასარჩენია ხიზნობა, თუ ამოსაკვეთი.

მეცნიერნი, რომელნიც ხიზნობის მაგვარს ფლობელობას მიწისას ამ მხრით, თუ სხვა მხრით, დაჰკვირვებიან, ყველანი გვირჩევენ მის დარჩენასა სამერმისოდაც. ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ ეგ გვარი მიწათ-ფლობელობა

> „არც იმისთანა არისო, რომ ჩვენ ვისურვოთ იგი შევიტანოთ იქ, საცა თავის თავად არ არის გაჩენილი საზოგადოებრივ გარემოებათა გამო, ხოლო არც კი იმისთანაა, რომ მისი ამოკვეთა ვისურვოთ იმის და მიუხედავად, თუ საქმეში თავი როგორ იჩინა."

ამის შემდეგ მილლი ამბობს, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ დავუჯეროთ იმისთანა ზედმიწევნით მცოდნე ავტორიტეტს, როგორიც სისმონდიაო. და თუ მართალია იგი კეთილ-დღეობა, რომელიც, სისმონდის სიტყვით, ამ გვარს მიწათ-ფლობელობას მოუფენია ტოსკანაში, მაშინ სანანური უნდა იყოს ამოკვეთა ამისთანა წესისა, რომელიც იქაურს ხალხს ისე კარგად ამყოფებს, როგორც არსად ევროპაშიო.

ემილ დე-ლაველე მოგვითხრობს რა ამბავს ხიზნობის მაგვარ წესისას, რომელსაც იტალიაში ლიველლოს ეძახიან, ამბობს:

> იმის მაგიერ, რომ ამისთანა წესს ამოკვეთას უქადიან, უფრო კარგი იქნებოდა, რომ იგი დაარჩინონ და საყოველთაოდ გაავრცელონ, ოღონდ ფორმა საჭიროებას შეუწონონ და განაკარგონ...*) იქ, სადაც ამ გვარი ხმარება მიწისა დამკვიდრდა თავის-თავად და ხალხს დაუმტკიცდა, როგორც ჩრდილო პორტუგალიასა და გრენინგენში, საქმე გვიჩვენებს, რომ მიწათ-მომქმედის კეთილ-დღეობასაც ჰშველებია და მიწათ-მოქმედობის წარმატებასაცა.**)

გლადსტონი, ჯონ გრეი, ტორალდ როჯერსი და სხვანი მეცნიერნი და სახელმწიფო კაცნი ცოტაოდენის სხვა-და-სხვაობით ამასვე ამბობენ ხიზნობის მაგვარის ფლობელობის შესახებ და არამც თუ ჰფიქრობენ ამის ამოკვეთას იქ, საცა არის, არამედ იქაც კი ჰრჩეობენ შეიტანონ, საცა არ არის.

ჩვენი ნათქვამი ხიზნობის თაობაზედ სრული არ იქნება, თუ ზედ არ დავუმატეთ აქაურის მთავრობის კაცთა და დაწესებულებათა აზრიცა. „ამიერ კავკასიის საცენტრალო კამიტეტსა", რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბატონ-ყმობის საქმე 1863—1864 წწ., მიეცა შემთხვევა და ჩამოუვარდა ლაპარაკი ჩვენებურს ხიზნობაზედ და აი ამის გამო რა წარმოსთქვა:

> „Хизанское положенiе есть дѣйствительно одна изъ счастливыхъ особенностй свободныхъ поземельныхъ отношенiй владѣльцевъ земли и живущихъ на ней поселянъ, въ здѣшнемъ краѣ *).

ჩვენ უკვე ვიცით წინა-წერილებიდამ, რომ ხიზნობა მარტო ჩვენის ქვეყნის შვილი არ არის; იგი თითქმის ყველგან მოიპოვება და საცა კი არის, ყველგან იმ აზრისანი არიან ხიზნობაზედ, რომელიც ხსენებულმა კამიტეტმა წარმოსთქვა ჩვენში. ეს აზრი მით უფრო საგულისხმოა, რომ საკუთრივ ჩვენებურს ხიზნობაზეა წარმოთქმული.

---

*) ბროშიურა: „მიწათ-ფლობელობის წესი ბელგიასა და გოლლანდიაში."

**) ბროშიურა მისივე: „მიწათ-ფლობელობის წესი ირლანდიაში".

***) „Хизанское положенiе." (გვერ. 4)

ახალი ამბავი

⁂ გუშინდელ გაზეთთან ერთად დავურიგეთ ტფილისის მკითხველებს „საარჩევანო სიები" ქ. ტფილისისა, შედგენილი ოთხის წლით. სიაში მოხსენებულია სახელი და გვარი ამომრჩეველთა. სულ ამომრჩეველნი ტფილისისანი სამ რიგობად განიყოფებიან იმისდა მიხედვით, თუ რომელს ამომრჩეველს რამდენი შეაქვს გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ. პირველ რიგობის ამომრჩეველთ შეაქვთ არა ნაკლებ 200 მანათისა. ამათი რიცხვი სულ 48 ყოფილა. ყოველ-წლიური შესატანი ამათი არის 34,247 მან. 83 კაპ. მეორე რიგობისანი ყოფილან სულ 230. ამათ შეაქვთ წლიწადში არა ნაკლებ 60 მანათისა. სულ ყოველ წლივ ამათი შესატანი არის 34,305 მან 98 კ. მესამე რიგობის ამომრჩეველნი ყოფილან 4,530. ამათ შეაქვთ ყოველ-წლივ მანათიდამ და უფრო კიდევ მცირე შესატანიდამ დაწყობილი 60 მანათამდე. მესამე რიგობის ამომრჩეველთ შეაქვთ სულ ყოველ-წლივ 34,251 მან. 83 კაპ. სულ ყოველ წლიური შესატანი სამისავე რიგობის ამომრჩეველთა არის 102,805 მან. 64 კაპ.

⁂ ამ დღეებში ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი პატარა შენიშვნა გლდანელის და ესებუას ქიდაობის თაობაზე. ერთი იქ დამსწრე ამ ამბავს

ფელეტონი

გიგლია

(დასასრული*)

V

მთვარე ამოჩნდა ნალევი,
მახარობელი ქვეყნისა;
აქა-იქ მოჩანს ნათელი,
მწვეტი წვერები მთებისა.
გორ-გორის პირებს მისდევდა
ჯოგი დალისტნელთ მგლებისა.
ხევებში ჩადგა გრილები,
ისმის ყვირილი წყლებისა.
კლდის თავზედ დასძინებია
არწივს, მოყვარეს მთისასა,
ბორბალო [1] ყინულიანი
გულის პირს არღვევს ცასასა;
ერთი ბუ გალმით კითხულობს
ამბავს გამოლმა ძმისასა.
საყორნის ყელში გამოჩნდა
ჯგუფ-ჯგუფად ხალხი რეული,
ყოყმანობს, წინ სვლას ვერ ჰბედავს
ლეკის ბელადი გრძნეული:
წინაით ესმა ქვის ჩხერა,
ნახა წინწელი [2] სრეული.
სთქვა: „წინ ვერ წავალთ, დადექით,
ყური დაუგდეთ შრიალსა,
ვაჰ თარეშობას ესეთსა
ნადაველს და ცდასა ტიალსა!"
ოსმანამ ლაგმის ტარითა
ცხენი დალრიჯა ყელშია,
ხმალი მაიგდო გვერდზედა,
დამბაჩას სინჯავს წელშია.
გაუოკრდება ყველაი—
სიყვითლემ დაჰკრა ფერშია!
როგორც ცით ელვა მოარდა
მოყმე რამ სვილის ფერია,
ხმალს ატრიალებს გორდასა,
მაზედ ნათელი ჰფენია...
ერთი შავარდნებრ დაჰკივლა:
„ახლა-კი ჩემი ჯერია!
შუაზე გასჭრა ცხენ-კაცი,
შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია;
შაიღებება სისხლითა
ოსმანას ყვითელ-წვერია.
„აცათ, მაცალეთ, ძაღლებო,
გეყოთ ამდენი თარეში,
დიაც-ყმაწვილის ბოჭირი [3]
არაგვზედ, ფშაველის მხარეში;
ჯერ არ მომკვდარა გიგლია,
კიდევ ჯანი აქვ მკლავებში.
ასტეხა მტერმა ყვირილი,
დადგა ფარ-ხმალის წკეპანი,
მიგორავს ლეკის თავები,
სისხლს გააქვ დაბლა შხეპანი;
შაჰყარა ერთმანერთზედა
იმ ურჯულოთა ცხედარი;
ველარ მიუვა დედასა
ოსმანა ლაშქრით მკვეხარი.
„ღმერთო უშველე, იძახის
ქალი-ტყვე, ცრემლის მჩქეფარი;
„უშველე, სხვანი ამბობენ,
მაგ ჩვენს უცნაურს ვაჟასა,
ნუ დაჰღლი, წმინდავ გიორგი,
მაგის კურთხეულს მაჯასა!"
ცხრა მოკლა, ოთხი გაიქცა,
ერთი გადუხტა ეხშია, [4]
წყეულმა ერთ-წამს გიგლიას
თოფი დაგვიკრა მკერდშია...
„ვაჰ დედას თქვენსა," ესა სთქვა
და გადავარდა ხევშია.
ბრძამზე [5] კიდებით მიგორავს,
ხმალი უჭერავ ხელშია.
გადმოხტა გალაღებული
ლეკი,—ეძახის ძმებსაო;
„მოდით, ნუ სწირავთ ტყვეებსა,
ველარა ჰნახავთ მტერსაო;
თოფი ვკარ, ხევში გავგზავნე,
იქ ჰლოკს კლდეების მტვერსაო!.."
ქვითინებს გოდერძათ ქალი,
მთის ბალახს აზერტყს ცრემლსაო;
მოდიან ლეკის შვილები,
ხელს უკიდებენ ხელსაო:
„წამოდი, ქალო, ნუ სტირი,
დაბლა ნუ აწყვეტ თმებსაო,
ფეხ-შიშველს დაგათელინებთ,
თინავ, თოვლიანს მთებსაო".
წინ დაიყრიან ტყვეებსა,
ყუითა სცემენ ხმლებსაო.
ტყვენი გიგლიას ჰგლოვობენ,
ტირის გოდერძათ ქალია,
იმის ხმა-მაღლა ქვითინმა
კლდეც ატირა სალია,
აბიჯებს წარა-უგონთა, [6]
მკვდრისაკე ჰრჩება თვალია:
„ვაჟკაცო, შენი სიკვდილი,

---

*) იხ. „ივერია" № 190.

[1] მთა არის, საცა ალაზანს სათავე აქვს.

[2] ნაპერწკალი.

[3] დაწიოკება.

[4] გამოქვაბული კლდე.

[5] მთის მცენარეა ურო ბალახსავით.

[6] წარა-მარად.

კიდევ ასე მოგვითხრობს: ჯერ გლდანელმა ესებუა ორჯერ ზურგულით გადააგდო, მაგრამ პირალმა ვერ დასცა, გლდანელმა ვერას გზით ვერ დაიმორჩილა მოწინააღმდეგე; მძლავრი და მარდი მეგრელი ყოველთვის ზურგს იბრუნებდა ხოლმე. პირველად მეგრელმა გლდანელს ორივე მუხლები მიწას დააკვრევინა, მერმე იმ სიმსხო კაცი (როგორიც გლდანელია) ასწია და დაახეთქა მიწაზედ; დაიყვირეს ზოგიერთებმა: ეგ ჯერი არ არისო; ბოლოს ესებუამ ჩაავლო ხელი გლდანელს, როგორც ქორმა წიწილა ისე აიყვანა, დაახეთქა მიწაზედ პირ-ალმა და დააჯდა ზედ გულზედ. გლდანელი ბევრს ეწვალა, უნდოდა გადაეგდო და მოეშორებინა მეგრელი, მაგრამ ვერ მოუხდა. დიდ-ხანს აწვა ესებუა გულზედ, ბოლოს მივიდნენ და გააშველეს. კულა დალონებული დაბრუნდა, ესებუა კი აიტაცეს და სულ მაღლა-მაღლა წამოიყვანეს გახარებული. მაშინ მოისმა ხალხში ხმა: „მოკვდა კულა“, «დაიმარხა გლდანელიო!»

⁂ ბაქოს რკინის გზის სადგურზე, ყარაიასის ახლო წვიმებს გზა გაუფუჭებია და ამიტომ ამ ორის დღის განმავლობაში მატარებელი არ დადიოდა ბაქოსკენაო.

⁂ ქარელიდამ გვწერენ, რომ ჯარის კაცთა გამოყვანისათვის საჭირო სიების შედგენა აქ დიდი ხანია გაათავესო. ქარელიდამ 35 ვერსის მანძილზეა სოფელი გუჯარეთი, თრიალეთის მთების ფერდობზედ. გუჯარეთი დასახლებულია ხიზან ოსებით, ასე 100 კომლამდეო. ამათის სიების შესადგენ გამოგზავნილი მოხელე არ წავიდა თვით გუჯარეთში, როგორც ამას მოითხოვდა კანონი და წესიო. მან დაიბარა მამა-კაცნი გუჯარეთისა ქარელში და ისე შეადგინა სიაო. როცა უთხრეს მოხელეს, ასის კაცის აქ ჩამოსვლას, შენ ახვიდე გუჯარეთს და ადგილობრივ ასწერო, ის არა სჯობიანო, მან თურმე პასუხად ისა სთქვა, რომ, იმ მთებში ვინ წავაო. როცა ოსებმა დაიგვიანეს და ქარელში მალე არ გამოცხადდნენ, მოხელემ ამისი ბრალი გზირს დასდვა და ისე მოეპყრო, როგორც ეკადრებოდაო.

⁂ თეატრების სეზონი დადგა. ქართველი არტისტებიცა გროვდებიან ქალაქში. არწრუნისეული თეატრი შეუკეთებიათ: ახალი ფარდა დაუხატვინებიათ მომავალ წარმოდგენებისათვის. როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, მომავალი სეზონი ქართულ დრამატიულ საზოგადოებასა აქვს აღებული. პირველს წარმოდგენას საზოგადოება ჰმართავს კვირას, 14 სექტემბერს. წარმოსადგენად დანიშნულია „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს“, სამ მოქმედებიანი კომედია და ვოდევილი „ცელქები“.

⁂ ქუთაისი აღარაფერში რჩება უკან ტფილისსაო, ამბობს გაზ. „მწყემსი“. ერთს კვირაში სამი ბავში იპოვნეს ქუჩაში მიგდებულიო. ერთი მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის გალავანზე შემოედვათ. ყმაწვილი განძრეულიყო, გადმოვარდნილიყო, თავი ქვაზე დაეხალა და იქვე მომკვდარიყოვო. მეორე ბულვარის გვერდზე დაეგდოთ და მესამე ღამის ცხრა საათზე ქალების გიმნაზიის კარებთან მიეგდოთო.

⁂ მრავალთა სახლის-პატრონთა, რომელთაც აქვსთ სახლები მაღლობზედ, ძალიან უხარიანთ უხვი წვიმები, რომელნიც ამ ჟამად ყოველ დღე მოდის. ეს წვიმები ანთავისუფლებენ ეზოების გაწმენდის ხარჯისაგან, რადგანაც მოგროვილი მათში და გამოყრილი ქუჩაში ნაგავი სწრაფლად მიაქვს ნიაღვარს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ნიაღვარი ხომ ძალიან შორს ვერ წაიღებს ნაგავს და ამისათვის რომელსამე ადგილას ქუჩაში, სადაც ფოსოებია, ნაგავი შეგროვდება ხოლმე. ამ გვარი მარტივი და იეფი სახსარი ნაგავის გატანისათვის, უნდა იმედი ვიქონიოთ, მოსპობილ იქნება, ვისაგანაც ჯერ არს. («კავკაზი»)

⁂ ამ წვიმებისაგან ავჭალის ქუჩამ მიიღო ისევ თავისი ჩვეულებრივი სანახაობა და წარმოადგენს ნამდვილს მდინარეს. ეს ქუჩა დიდიხანი მოითხოვს სრულიად გადაკეთებას; მაგრამ, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, იგი არ შეკეთებულაო 1870-ს წლიდამ, ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზრენიე».

⁂ წევრმა საერო სწავლა-განათლების მინისტრის საბჭოსამ და უწმინდაესის სინოდის სამოსწავლო კამიტეტისამ, ტაინი-სოვეტნიკმა ი. ა. ჩისტოვიჩმა გაათავა გაჩხრეკა ტფილისის სასწავლებელთა, წავიდა გუშინ, 4-ს სექტემბერს ქ. სტავროპოლს აღსასრულებლად განგებ დავალებულის უწმინდაესის სინოდის ობერ-პროკურორის მინდობილობისა. („კავკაზი“)

⁂ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთა მეფურნეთაგან გასყიდულ პურს შეამჩნიეს შმორის სუნი. როგორც ისინი ამბობენ, ამისი მიზეზი თურმე ის არის, რომ ფქვილს ყიდულობენ თათრის მეიდანზედ, სადაც იგი სველდება, რადგანაც ფქვილის საცალოები აწყვია გარედ და არა საფარ ქვეშაო! უმთავრესი საწყობი ფქვილისა ტფილისში თათრის მეიდანზედ არის და ამისათვის, არ იქნებოდა ქალაქის გამგეობისათვის ურიგო, ფქვილის უკედ შესანახავად, გაეკეთებინა დაიატაკებული საფარი, იმ გვარი, როგორიც არის ვერის მეიდანზედ, თუნდა უბრალო ფიცრული იყოს და ისეთი ძვირფასი ნუ იქნებაო, ამბობს „კავკაზი“.

⁂ სახელმწიფო ბანკის გამგებელს ნება დაურთვია სამაზრო სახაზინოთათვის იქონიონ კასსები, რომ მსურველებმა ფული მისაბარებლად და სასარგებლოდ შეიტანონ ხოლმე. ამისთანა კასსა დაარსებულა ახალციხის სახაზინოში პირველს ივლისს, ფოთისაში—ათს, სიღნაღისაში—თორმეტს, დუშეთისა და ქუთაისისაში თექვსმეტს იმავე ივლისსა. ფულის შეტანისა და გამოტანისათვისაც თვითეულ ამა კასსებისათვის ცალ-ცალკე ვადაა დანიშნული, სახელდობრ: ახალციხისაში ყოველ დღე გარდა კვირა და უქმე-დღეებისა შაბათობით საღამოს რვა საათიდამ და სხვა დღეებში-კი დილის ცხრა საათიდამ, დუშეთისაში—ოთხშაბათობით და შაბათობით, საღამოს 6 საათიდამ და კვირაობით დილის 10-ს საათიდამ, სიღნაღისაში—შაბათობით, საღამოს 7-ს საათიდამ და კვირაობით, დილის 8 საათიდამ; ფოთისაში—შაბათობით, საღამოს 7 საათიდამ და კვირაობით, დილის 11-ს საათიდამ; ქუთაისისაში—ხუთშაბათობით, საღამოს 5-ს საათიდამ და კვირაობით, დილის 12 საათიდამ და ბათუმისაში—შაბათობით, საღამოს 6 საათიდამ და კვირაობით, დილის 11 საათიდამ, თვითეული კასსა დავალებულია დასაწყის დროიდგან დღეში სამი საათი მაინც მოქმედებდეს. («კავკაზი»)

დამაკვირდი!

სიყვარული მორჩილობას სასიამოვნოდ ჰხდის. (ბუასტი)

**

მოწყალება, წინ დაუხედავად და განურჩევლად დარიგებული, ქრთამია, რომელიც მზა-მჭამელობას და აუგობას ემდევს. (დროზი)

**

ყველა საძაგლობაზედ უსაძაგლესი პირ-ფერობაა. (ბეკონი)

**

საეჭვის ნდომა გზა არის
გონების წარსავალია,
დაქადების სიტყვითა
ვინ გადასწყვიტა ვალია?
(მეფე ვახტანგ VI)

**

გულსა გამწყრალსა კეთილი
განზრახვა არ ეპოვება. (არჩილ მეფე)

**

მთა ცაში მიტომ ყელ-ყელობს,
რომ სიმაგრე აქვს ძირითა...
მარტოკა ერთი რას იზამ,
თუნდა ცეცხლს ჰყრიდე პირითა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბაკურ-ციხე (სიღნაღის მაზრა) 25-სა მარიამობისთვეს. ჩვენ სოფელში ყმაწვილების ავად-მყოფობა საშინლად გავრცელებულია! თუმცა ამ ავად მყოფობას ჩვენში, ზოგიერთები მთვარულს ეძახიან, მაგრამ, აი რაგვარად მოქმედობს ეს სენი ავად-მყოფზედა. სულ პირველში მისცემს ხოლმე საშინელს სიცხეს და დააწყებინებს საქმობას, შემდგომ ამისა ასტკივათ ყელი და პირშიაც დააყრით წვრილ თეთრ თავიან მუწუკებს; ორის ანუ სამის დღის უკან იარებად გარდაექცევათ ხოლმე, ვეღარც არას სჭამენ და ვერც არას სმენ. აი ამ გვარმა სატკივრებმა ბევრი ყმაწვილები შეიწირა ამ ცოტას ხანში, ვინც-კი თავის დროზედ ვერ მიასწრო სარგო წამალი თავიანთის უცოდინარობის გამო. ზოგიერთებმა-კი, თავიანთის შინაურულის გამოცდილებით, ბევრი სხვა-და-სხვა გვარი წამლები სცადეს, ბალახებისაგან შეზავებული ამ სენის სამკურნალოდ. თუმცა ამ გვარის შინაურულის წამლობით ბევრიც მოარჩინეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კაცი ვერას იგებს ამ გვარის შინაურულის წამლობისაგან, რომელი წამალი რგებს და რომელი არა, ამიტომ რომ ერთის კვირის ავად-მყოფობაში ავად-მყოფზედ თითქმის ოც ნაირს წამალს სცდიან ხოლმე სხვა-და-სხვა გვარს. რა საკვირველია, ამდენს ცდაში ზოგიერთი წამალი ზოგიერთს ავად-მყოფს არგებს ხოლმე და ზოგს კი სავნებლადაცა გარდაექცევათ ხოლმე: აი ამის გამო დანამდვილებით დღესაც არ ვიცით ამ გვარის სატკივრების წამალი. უექიმობის გამო დიდს შევიწროებაში არიან ავად-მყოფის პატრონები.

⁂

ორი თთვე ისე გავიდა, ნამი არ გვეღირსა და ეხლა კი დაჟინებულმა ავდრებმა თავი წაილო. ამ ავდრებმა დიდი ზარალი და უბედურობა მოგვიტანა. ამ თთვის 15-ში დაიწყო ჩვენში წვიმები და სრულ ოცამდისინ გასტანა, მაგრამ ავდარიც ავდარსა ჰქვიან; რომ იტყვიან კოკით ჩამოსხმულიო, სწორედ ეს იყო: იმ გვარად მოდიოდა . ამ საშინელს ავდარს ჩვენდა საუბედუროდ თან მოჰყვა სეტყვაცა და საშინელი ქარიც ზედ მოედევნა. აი ამ სეტყვამა და ქარიშხალმა მრთლად ორი სოფ. ანაგა და ვაქირი სულ ერთიანად ძალზედ დასეტყვა: მზა-მზარეულად კარზედ მომდგარ მოსავალისაგან ცარიელები დარჩნენ. სეტყვა თუმცა სხვა სოფლებში არა ყოფილა, მაგრამ ნიაღვრები და ქარიშხალი ძრიელ იყო. ჩვენში ერთ თ. და-იძესა ღამე განთიადის დროს ძილში მყოფს დასცა თავზედ სახლის ჭერი. თუმცა ამ დროს შიგ ხუთი სული იმყოფებოდა, მაგრამ ღვთის მადლით უვნებლად გადარჩნენ. მარტო აკვნის ყმაწვილს დაეცა ზემოდგან ჩამოვარდნილი ფიცარი და აკვანი სულ ჩაამტვრია, ყმაწვილს მცირედ ევნო და სასიკვდილოდ არა დაჰმართვია-რა.

ეს მოხდა ამ თთვის 19-სა. ამის გარდა ს. ანაგის და ვაქირის შუა, გზაში მოესწრო ამ საშინელს ნიაღვარს ერთის 13-წლის ქალისათვის და იქავე დაერჩო. დამრჩვალი საღამოთი იპოვნეს მგზავრებმა. აღმოჩნდა, რომ ე უბედური ვაქირელი ყოფილა და შინს მომავალებულა. ვენახებიც ბევრი წაახდინა, მაგრამ ამ ჟამად დაწვრილებით ვერა გწერთ.

შაქრო ვ—ძე

ვაჰმე, რა დიდი ბრალია!
უნდა დაიქცეს სამყარო,
გაწყდეს ცარგვლისა ძალია.
რად არ მე მოვკვდი შენს უწინ,
როგორ გიგონო მკვდარია.“
ხევის პირზედა, ლოდებზედ
გიგლია კვდება კარია,
არ უნდა გულ-ხელს დაკრეფა,
კლდეს მიუბჯენავ მკარია;
კვდება გულს-უწადინოდა,
მტრისა მიჰყვება ჯავრია.
როცა გიგლია კვდებოდა,
მთებ სატირელზედ სხდებოდა.
ერთი ბებერი არწივი
ზეით ჰიუხში [7]) წყრებოდა;
საყორნის თავი მაღალი
ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
მაღლით მომჩერენი მთის წყარო
სიბრალულისგან შრებოდა.
ბეჩავი იმის ლურჯაი
გიგლიას თავით ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი ჰხლებოდა.
სამყარომ შავი ჩაიცვა..
მყვირალი რაღას შვრებოდა?

VI

შორს სამ სალეკოს ყელშია,
ცის-ტატნად [8]) კაცი ჩნდებოდა,
ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ,
ხან დიყიანში ხტებოდა.
გულ უწუხს თხის ტყავიანსა,
ერთს ადგილს ვეღარ დგებოდა.
თოფს უცვლის პირის წამალსა,
მტერს მოუსვენრად ელოდა.
ქალის ტირილი შაესმა
მყვირალს, ამტეხი ზარისა,
შემაშფოთები ტყე-ველის,
მაღლა მთის, დაბლა ბარისა,
ქარქაშში აღარ დგებოდა
ბასრი ფრანგული კარისა.
ღრუბლებში დაქსაქსულია
მკრთალი ნათელი მთვარისა,
გულს ჩაიმჯიღავს მალი-მალ,
მოთქომი სიტყვის მწარისა:
„ვაჰმე, იქნება მოკლესო
რჯულ-ძალთა ჩემი ძმობილი,
თავზედ დაიდვა სირცხვილი,
დაერჩე ქვეყნისგან გმობილი;
ის სამარეში ვიგულო,
ვიარებოდე ცოცხალი,
თუ მტრისა ჯავრი შავჭამო,
სიკვდილო, მენაც მომკალი!“

VII

ყორანმა გადმაიარა
ყრანტალით, თავის ღებითა:
„დაილოცენით, ფშაველებო,
თქვენის ფშაურის წესითა.
სანამ თქვენა ხართ ცოცხლები,
ლეში არ დამაკლდებაო;
ბევრს ყმას ამოვწევდი გულ-ღვიძლსა,
ნისკარტი სისხლში წრთებაო.
საყორნის ყელში ცხრას ლეკსა,
გიგლიაც თანა ჰყვებაო,
მე უფრო გამიხარდება,
როცა ვაჟკაცი კვდებაო.
ღმერთმა მყვირალსაც უშველოს,
ხუთს ლეკს მამიჭრა თავია,
ტყვეებიც ახადს მაუდის,
მაჰყავ გოდერძათ ქალია.
მაგრამა ტირის ბეჩავი,
არ შაჰშრობია თვალია,
იმის ნაცრემლის ნისლებმა
მეც ამირიეს კვალია.
იძახის, ძმაო გიგლიავ,
შენი სიკვდილი ბრალია!!“

VIII

ციდამ ჩამოწვა ღრუბელი,
ჩარგალს დაადგა თავზედა;
ფშაველების ჯარი მომდგარა
გიგლიას სახლის კარზედა.
ფშაველის ლამაზი ქალები
ცრემლსა აფრქვევენ ძალზედა,
დედა გიგლიას დასტირის,
ყორნის გამოხრულს მკლავზედა.
გულის ამოცლაც მოუსწრავ,
იმ სატიალოს,—წამზედა.
გიგლია საკაცეში წევს,
გულს უწყავ ხმალი-ფარია,
გვერდით უწყვია გიშრისა
ქალთა ნაწნავთა ჯარია [9]).
გაისმის აქათ-იქითა
„ვაჰმე რა გვეშველებაო,
კარგები იხოცებიან,
ბეჩავი ხელში გვრჩებაო!“

—

ხალხში ამბობენ, მთაშია
დარბის, დაკვირის ცხენიო:
ვაჰმე, სადა მყავ გიგლია,
კარგი პატრონი ჩემიო!!

ვაჟა-ფშაველა

---

[7] წვეტიანი კლდე.

[8] რუსები რომ იტყვიან „горизонтъ“-ს.

[9] ფშაველებს ჩვეულებად აქვთ, თავის ნათესავის სიკვდილზე ქალი თმას მოიჭრის. ძველად გაუკაცის სიკვდილზე ამ ჩვეულებას მთელი სოფლის ქალები ასრულებდენ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბ-ნ მეშჩერსკის თავის «Гражданинъ»-ში მოჰყავს ლაპარაკი, რომელიც ვითომ ბისმარკსა და რუსეთის უცხოთა მინისტრის გირსის შორის ყოფილა.

— როგორ მიდის თქვენი საქმე ბოლგარიაში? ჰკითხავს თურმე ღიმილით ბისმარკი გირსსა და ამასთან განსაკუთრებულ კილოს აძლევს სიტყვას „თქვენ“ ბოლგარიასაო.

— ვერაფრად, ალექსანდრე აღარა სდგება, სულ წინ მიდისო.

— უფრო უკეთესია ეგ თქვენთვისაო, ეუბნება ბისმარკი.

— როგორ?

— რა ლაპარაკი უნდა: მონადირე, თუ მას გზის მაჩვენებელი არა ჰყავს, რაც უფრო შორს შევა ტყეში, მით უფრო ადვილად დაჰკარგავს გზასა.

— ეგ ჭკუაზე ახლოა, მაგრამ სწორედ რომ მოგახსენოთ, ჩვენ უფრო იმას ვირჩევდით, რომ მთავარი ალექსანდრე დარმშტადში თავის დედ-მამას გადაჰხვეოდა, ვიდრე ბოლგარიაში სტოიანოვსა და კარაველოვსა.

— მე სრულიად სხვას ვირჩევდი, თქვენს ადგილას მე სულ სხვა თვალით შევხედავდი ამ საქმეს: ეს ცელქი სკოლის შეგირდი თქვენ ძალიან გიადვილებთ საქმეს თავის სისულელით და არ გაივლის რამდენიმე დღე, რომ საშუალება მოგეცემათ თქვენს ბოლგარიას ისე მოექცეთ, როგორც გსურთ.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ რამდენჯერმე მოიხსენიეთ: „თქვენი ბოლგარიაო“; თუმცა ძალიან მიამება, რომ თქვენგან ეს სიტყვა მესმის, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, მე ვერა ვხედავ, რომ ბოლგარია „ჩვენი“ იყოს.

— იმედი გაქვთ, რომ გამოჩნდება ერთი ვინმე მშვენიერი პარისი, რომელიც გარდასწყვეტს, სამში რომელ ტურფას უნდა მიეცეს ვაშლი ცილობისა; თუ ამის იმედი გაქვთ, მაშ დიდი ხანი გაივლის ლოდინში. ყოველს შემთხვევაში ჩვენ არ გვინდა პარისობა დავიჩემოთ, მით უფრო, რომ „თქვენი ვაშლი“, ჩვენს შორის რომ ვსთქვათ, ცოტა ჭიანი გახლავთ...

— თქვენა ბძანებთ, სამში ერთსაო?

— დიახ, სამში: ოსმალეთი, ავსტრია და რუსეთი, აი აღმოსავლეთის სამი ტურფა.

— კარგად ამბობთ. მერე თქვენ როგორ მოიქცეოდით?

— მე? მე თქვენ ადგილას, არც ბევრს ავიღებდი, არც დავიღებდი და პირდაპირ ასე ვიზამდი: ბოლგარიას დავიჩემებდი და იქ ისეთ წესებს შემოვიღებდი, რომელიც პატრიარხალურ ერის ჩვეულებას შეეფერება; იმ კონსტიტუციას კი, რომელიც თქვენ ბოლგარიას უბოძეთ, მე ზედაც არ შევხედავდი. ამ საქმეს მე აღარ დავაგვიანებდი. მე გულ-ახდილი და პირდა-პირი კაცი ვარ. მინამ თონე ცხელია, პური მაშინ გამოცხვებაო. საქმეს ნუღარ გააცივებთ. ეს თქვენთვისაც ემჯობინება და ჩვენთვისაც. მოაშორეთ თავიდამ ევროპას ეს რაღაც ბოლგარიის საქმეა.

— ინგლისი?

— ოჰ, ინგლისი, სთქვა წარბების შეჭმუხვნით ბისმარკმა. გაიძვერა, ბებერი ქოფაკია, მეგობრებმა რომ არ გაუგონ, რომ უკბილოა, მუდმივ ღრინავს და იყეფება. ვაი იმას, ვინც ამ მახეში გაებმება...

— მაშ ჰფიქრობთ, რომ ჩვენ რომ...

— იცით რა, ჩემო ძვირფასო მეგობარო,—გააწყვეტინა სიტყვა ბისმარკმა,— მას შემდეგ რაც მე ღმერთმა გერმანიის მეთაურად და მმართველად დამაყენა, თავის დღეში მე აზრად არ მომსვლია ჩემის თავისთვის მეკითხნა: რას იტყვის ა., ან რას იფიქრებს ბ. და იცით რათა? მათა, რომ იმათაც საბუთი არა ჰქონდეთ მკითხონ, მე რაღას ვფიქრობ. ისინი რასაც ჰფიქრობენ,—ეს მე კარგად ვიცი. ის კი, თუ რას ვფიქრობ მე, გაცილებით სჯობიან საქმით შეიტყონ, ვიდრე სიტყვით... ეხლა კი გავისეირნოთ.

რამდენად ნამდვილია ბ-ნ მეშჩერსკის მოთხრობა, ვერას ვიტყვით, მაგრამ იმას კი ვერავინ იტყვის, რომ კარგად არ იყოს ნაამბობი.

უცხოეთი

ბოლგარია. როცა მთავარი ალექსანდრე დაბრუნდა ბოლგარიაში რუშჩუკიდამ, გაზეთებს ეგონათ, რომ ეს ამბავი რუსეთს ძალიან ეწყინებაო. დაბრუნებული მთავარი უთუოდ სამაგალითოდ დასჯის იმათ, ვინც ეცადა და ისე მოაგვარა საქმე, რომ მთავარს ტახტზე უარი ათქმევინა ძალის ძალადაო. ხოლო ამ გვარ საქმის მომახერხებელნი იყვნენ ისეთნი მამულის-შვილნი ბოლგარიისა, რომელთაც გულითა ჰსურთ რუსეთის მომხრეობა და სიყვარული თავიანთ ქვეყნის მიმართო. ესენი არიან ცანკოვი, მიტროპოლიტი კლიმენტი და სხვანიო. მერე რაკი მთავარმა ალექსანდრემ ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა მიიღო და ყველამ გაიგო სურვილი მათის უდიდებულესობისა, ევროპის ზოგიერთმა და მეტადრე პეშტის გაზეთებმა სთქვეს, რომ ახლაკი მთავარი უთუოდ გადაწყვეტილს პოლიტიკას დაადგებაო. ეს თქმა არ გამართლდა. მთავარმა საჭიროდ დაინახა ხელმწიფე იმპერატორის დეპეშის შემდეგ განეცხადებინა მინისტრთა რჩევისათვის, რომ ახლა ყოვლად შეუძლებელი-ღაა ჩემი დარჩენა ბოლგარიაში და სამთავრო ტახტს უარსა ვყოფო. ბევრი სთხოვეს მთავარს, უკან წაეღო თავისი სიტყვები, თუ ინგლისის დესპანი, თუ თვით მინისტრნი, მაგალითად კარაველოვი, თუ აფიცერნი, როგორც მაგალითად პაპოვი, მუტკუროვი, მაგრამ მთავრის გარდაწყვეტილება ვერარაფერმა ვერ შეარყია. მთავარი უკვე წავიდა ბოლგარიიდამ. ჩვენ ვსთქვით ერთს მეთაურს წერილში, რომ შეიძლება მთავარს ერთი ახირებული განზრახვა ჰქონდეს, ის განზრახვა, რომ თუ ახლა უარ-ჰყოფს ბოლგარიის სამთავრო ტახტს, რომელიც რუსეთის წყალობით დაიბადა და დაარსდა მისგან განთავისუფლებულს ბოლგარიაში, მერე ისე მოახერხებს, რომ საერო კრება შესდგეს, თვით საერო კრებამ კვლავ აირჩიოსო.

რამდენად გამართლდება ეს მოსაზრება, ან შესრულდება თუ არა ახირებული განზრახვა მთავრისა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გაზეთებში-კი ლაპარაკია ეხლა ამაზე გაბმული: ვენიდამ მოსული დეპეშა „Новое Время“-ს ამბობს, რომ, როცა მუტკუროვი, პეტროვი და ნიკოლაევი გამოეთხოვნენ მთავარს, უთხრეს, სრულიად არ გეთხოვებითო, იმედი გვაქვს, კვლავ დაბრუნდებით ბოლგარიაშიო. აფიცრები გაცილების დროს, მთავარს ასე ეთხოვებოდნენ: „ნახვამდისაო“. ალექსანდრე მთავარმა სთქვაო, ამბობს «ჰავასის სააგენტო»: თუ დიდი საერო კრება ღირსად მიცნობს და ხელ-მეორედ ამომირჩევს მთავრადაო, მე კვლავ დავბრუნდებიო.

— ვენგრიაში მადიარები ამბობენ, რომ ავსტრია არაფრით არ არის ხელფეხ-შეკრულიო და თავის დღეში არ დასთანხმდება, რომ ბოლგარიაში თავისი ჯარი ჩააყენოს ვინმეო.

— ზოგიერთი ალექსანდრეს მოწინააღმდეგე გაზეთები ამბობენ, რომ ალექსანდრე მთავრისაგან დანიშვნა რეგენტებისა და სამინისტროს წევრთა უკანონო საქმეაო და სრულიად არ ეშესაბამება კონსტიტუციასაო. რაკი მთავარი გაძევებულ იქმნა ბოლგარიიდამ, მისგან უკანონოდ დანიშნულ სამეულს რეგენტობას ადვილად მოველება და მოეგრიხება კისერიო. ლონდონიდამ დღეს მოსული დეპეშაკი იმას ამბობს, რომ მთავრის განკარგულება რეგენტების დანიშვნის თაობაზე სრულიად კანონიერი მოქმედებაა და არაფრით არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის წესებსაო.

ბიბლიოგრაფია

ალავერდის სობოროს ხელთ ნაწერი სახარება. *)

მათეს სახარების ბოლოს აწერია: „იესო ქრისტე შეიწყალე სოლომონ.“

ლუკას სახარების ბოლოს აწერია: „განსრულდა ესეცა თავი სახარებისა შეწევნითა და მომადლებითა წმიდისა და თაყვანის საცემელისა სამებისა ერთ არსებისა და ერთ-ღვთაებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისათა და მეოხებითა წმიდისა ლუკა მახარებელისათა, ხელითა ფრიად ცოდვილის გიორგისათა.

იოანის სახარების ბოლოს აწერია: „ვინადგან ღმერთი სახიერ-არს და კაცთ მოყვარე და არა უღირს იხილებს ძალისაებრ კაცთასა გულ-მოდგინებასა თვითეულისასა, და შეიწირავს მცირედსა და მიანიჭებს უხვებით, უკეთუ ჰპოვოს გონება კეთილის მეძიებელი, ამისათვის არა ჯერ არს ჩვენდა უსასოება მცირედისა შრომისათვის, არამედ უფროჲსად გვიღირს მოსწრაფებაჲ ჩვენებად ღუთისა ძალისაებრ ჩვენის სურვილისა და სიყვარულისა ჩუენისა მისა მიმართ, რომელ ესე ფრიად საყვარელ არს მისა, უკეთუ ოდენ უმანკოჲთა გონებითა და წმიდითა გულის სიტყვითა, წინა უყოფდეს კაცი ღუთისა სურვილსა და სიყვარულისა მისა მიმართ. ხოლო წინა ყოფაჲ ესე არს, რათა საქმით აჩვენოს გამოჩინება სურვილისა და სიყვარულისა მისისა მის შორის, ხოლო საქმით ჩვენება ესე არს სრული და მაღალი, რათა განიწმიდოს კაცმან თავი თვისი სრულებით ნივთისაგან ვნებათასა და შესწიროს მისა ყოვლითურთ და სავანე და სადგური მისსა ჰყოს თავი თვისი, ხოლო თუ ეძიებდეს ვინ ღონესა, თუ რომელმან წამალმან ჰყოს, იგი სადგურ და სავანე ღუთისა და ღირს ჰყოს ესე ვითარსა პატივსა, აღიღენ მან ყოვლად წმიდა სახარება და დაიწერენ იგი ნუ მელნითა და ქარტითა, არამედ ფიცართა ზედა გულისა თვისისათა, და ოდეს ჰყოს ესე, მერმე დაიუნჯოს მან სულსა შინა თვისსა უსასყიდლო იგი და ცხოველს მყოფელი მარგალიტი, რომელ არს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, და მიერითგან იქმნეს იგი შვილ უფლისა, მადლითა ღუთისათა, სიტყჳსაებრ წერილისა.

ხოლო მე უღირსმან ამან, დაღაცათუ ყოვლითურთ ხორც ვარ და არა წმიდა, გარნა კეთილად უწყი, ვითარმედ უეჭველად კეთილად მიემთხვევიან ამას მადლსა შეწევნითა ღუთისათა, რომელთა მოიგონ შინაგან გულთა მათთა წმიდა ესე სახარება და მცნებათაებრ მისთა მოქცეულ ყოფდეს, ამისათვის ვინადგან შეკრულ ვარ ბოროტის მეძიებელისა ნებისა ჩემისა მიერ და მარადის მქენჯნის ვითარცა მონასა უძლურსა და მიმიზიდავს ცოდვისა მიმართ, და ამას ვერ მივსწთუჳბი, რათამცა გულსა შინა მოვიგე ცხოველს მყოფელი ესე მარგალიტი, აღვიარებ სულითა და სასოებითა დიდითა მაცხოვრისა მიმართ და შეწევნითა მადლისა მისისათა, რომელი იგი არს უშურველ უმადლოთა და ცოდვილთათვისცა წყალობად, და ღირს მყო მოგებად ყოვლად წმიდის ამის სახარებისა მე ცოდვილი სვიმეონ, სიტყვითა ოდენ ლუდელ, ხოლო საქმით ყოვლითურთ მატლ და მიწასა ცოდვისასა მჭამელ, რომელ არაოდეს ვაჩვენე ნებისა კეთილისა მეძიებელი, უბადრუკსა სულსა ჩემსა, არამედ მარადის ვსწყლავ და დავქეჯნი ბოროტისა მიმართ სურვილითა და მიდრეკითა: გარნა სასოებისა ოდენ მიყრდნობილი ველი ღუთისაგან წყალობასაჲ ღუთის-მოყვარენო მამანო და ძმანო, აღორძინებადნო და წარმატებადნო მადლითა ღუთისათა, მე ცოდვილი სვიმეონ, იოვანე, და ბასილი, და დიმიტრი და გიორგი შეუვრდებით თქვენსა ღუთის მოყვარეობასა და უკუდავებითა სულისათა ამბორს უყოფთ წმიდათა ფერხთა თქუენთა და თვალითა სულისათა, ცრემლითი ვითხოვთ თქუენისა სიწმიდისაგან, ვისდაცა მოიწიოს და რომელნიცა ეუფლნეთ და იკითხვიდეთ და ისმენდეთ ყოვლად წმიდასა ამას სახარებასა, ნუ იწყინებთ, ნუცა მძიმე გიჩანს, არამედ აღმოიკითხენით სახელნი ჩუენნი, რომელნი აქა წერილ ვართ და ღმობიერ იქმნენით და ლოცვა ჰყავთ, გვაკურთხეთ და ითხოვეთ შენდობა ჩუენისა სისაწყლისა, რათა თქუენ სასყიდელი ძმათ-მოყვარებისა ღუთისაგან მიიღოთ, და ჩუენ წმიდითა ლოცვითა თქუენითა მივემთხვიენეთ შენდობასა და ცოდვათაგან ხსნასა, ხოლო სახელნი ესე არიან, რომელთათვის გვევედრებით ხსენებასა: სულიერნი მოძღვარნი ჩემნი ეგნატი და ანტონი და მშობელნი ჩემნი, სვიმეონ, მარიამ, მამია, ჩობინი და ძმანი ბასილი, იოვანე, სულა, ჩობინი და აბუსაკრ და მე უღირსი სვიმეონ და შვილნი ჩემნი გიორგი და დიმიტრი და გრიგოლ და ყოველნი მეცნიერნი და თვისნი ჩემნი. ეჰა ღუთის მოყვარენო ძმანო, ლოცვა ჰყავთ გულითა სიყვარულისათვის ღუთისა, რათა ღირს ვიქმნეთ ნაწილსა ცხორებისასა, რომელნი აქა წერილ ვართ, რამეთუ ესერა მოიწევის ჟამი, ოდეს ესე აღმოიკითხვიდის და მე მიწა და ნაცარ ქმნულ ვიყო, ხოლო სული ღმერთმან უწყოდის, სა და იგი იმყოფოს. და ამასცა გევედრებით, ნუ ვინ ხელ-ჰყოფთ აღხოცად ანუ აღმოკვეთად ამის ჩვენის ანდერძისა, რომელ ფრიად დიდი ჭირი მიხილავს და სიგლახაკესა შინა ფრიადითა ჭირითა მომიგია მართალი და წმიდა, რომლისა ეჭვი არ არს, ვით თავსა სახარებისასა სწერია. უკეთუ ვინმე სარგებელსა მოისთულებდეს და ჩვენი ანდერძი მოიძულოს არა მადლი არს. ვისსაცა მოიწიოს და აღხოცად ანუ აღმოკუეთად ხელ ჰყოს, წინაშე ღუთისამცა ბრალეულ არს და პასუხი ტალანტისა დამფლველთა მიეხადოს, ხოლო რომელმან დაამტკიცოს, საუკუნოდმცა არს სახსენებელი და კურთხევა მისი ამინ.

დაიწერა კალიპპოს ლავრასა წმიდისა ღუთის მშობლისასა, მეფობასა კონსტანტი მონომახისასა, ანტიოქიის პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა. ლოცუა ჰყავთ მიქელ და გიორგისათვის გლახ. იესო ქრისტე შეიწყალენ ამინ. ქორონიკონი იყო (აღარ კი უზის).

ესე უწყოდეთ წმინდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვიენეთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდა არს, მამისა ევთიმეს სახარებასთან, და შეწამებული ბერძულსა ორჯელ და ქართულსა ყოვლითურთ უნაკლულო რიცხვითა და კანონითა და განთესულნი არღარა დავსწერენ, ამისათვის რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად, არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისა დაუშორდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდევით, ღმერთმან გარწმუნოს. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღუთის მშობელისათა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა წმიდისა იოვანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისათა, ოხითა და შეწევნითა წმიდათა მთავარ ანგელოსთა და ანგელოსთა, ზეცისა ძალთა ქერაბინ სერაბინთაჲთა, მეოხებითა წმიდათა და ნეტართა მახარებელთაჲთა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაჲთა, წმიდათა და ნეტართა წინასწარმეტყუელთაჲთა, წმიდათა და ნეტართა მოწამეთაჲთა, წმიდათა და ნეტართა მღვდელთ-მოძღვართაჲთა, წმიდათა და ნეტართა მამათაჲთა. შეწევნითა და თანადგომითა ყოველთა წმიდათათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა, ესე ანდერძი მე იოანე პროედროსმან ძმან ლიპარტ ჱესამან (ეს ქარაგმით არის) პროედროსისა და პროტარხონისამან დავსწერე მას ჟამსა, ოდეს ადიდენ ღმერთმან ძრიელმან აფხაზთა და ქართჳელთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან კონსტანტინეპოლით მომიყვანეს, და მოვედ მამულსა ჩუენსა მონასტერსა წმიდისა ღუთის მშობლისასა, სამარხავსა ჩუენსა, დავასვენე ხატი წმიდის გიორგის მთავარ-მოწამისა ოქროჲსაჲ მინაჲთა, ზედა ზის თუალი ჲაგუნდი დიდი და მცირე კ, ზურმუხტი ბ, ბალახში ბ, და მარგალიტი იე, სხვა თუალი კდ, ბეჭედი მრთელი და სრული ყოვლითა ფერითა და შევსწირე ოთხ თავი სრული და გამოკრებული ზანდუკითა და კამარითა შინაგან წმიდანი მახარებელნი ოქრო მელნითა დაწერილნი და ყოველი ასო მთავარი ოქრომელნითა დაწერილი და გარეგნით ხატნი სხედან ვეცხლისანი ოქროჲთა შეღებილნი კარგად ერთსა ფიცარსა ზედა მაცხოვრისა და მეორესა ფიცარსა წმიდის ღუთის მშობელისა და თვით მოჭედილი არს სრულიად ვითა ხუდების ყოვლისფერითა, და საცეცხლური ერთი ვეცხლისანი მძიმენი ოქროჲთა შეღებილნი, სრულნი ყოვლით ფერითა თვლითა შექმნილნი კეკლანი, სალოცველად და სახსენებლად საუკუნოდ მკუდართა და ცოცხალთა ჩვენთათვის. და გამოჩინებად ყოფადი იგი აღდგომაჲ მკუდართა დღისა მისთვის დიდისა და საშინელისა, ოდეს დასჯდეს განკითხუად უფალი ჩუენი იესო-ქრისტე განსჯად ცხოველთა და მკუდართა და საგრილად საწყა-

---

*) იხ. „ივერია“ № 190.

ღობელისა სულისა ჩემისა, და არავის აქვს ხელმწიფება ქრისტიანეთაგანსა, არცა ვის ხელმწიფესა, არც ვის სხუასა, არცა შეილთა და მომავალთა ჩუენთა ხელ ყოფად გინა გამოხუჩუბად წმიდის ამის ეკკლესიისაგან ერთიცა ამისაგანი რაჲმე. უკეთუ ვინმე, მეკიდე იქმნეს წმინდისაგან სამებისა და განეარდეს შჯულისაგან ქრისტიანეთასა, ხელ ჰყოს და იკადროს მძლავრობით, ანუ რაჲცა მიზეზითა, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სული წმინდა, კიდემცა არს წესისაგან და შჯულისა ქრისტიანეთაჲსა, კიდემცა არს წმიდისაგან ნათლის-ღებისა, და ნუმცა ღირს ქმნილ არს ზიარებად წმიდასა ხორცსა და სისხლსა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და ნაწილიმცა მისი მკულელთა ქრისტესთა თანა არს, რომელთა ჰკადრეს ღუთაებასა მისსა. ჰრისხავმცა ყოვლად წმიდა ღუთის მშობელი, წმიდა იოანე წინამორბედი და ნათლის მცემელი, ესე ზემოჲ მოხსენებულნი ყოველნი წმიდანი და კრულმცა არს პირუტლ ღუთისა პირითა, ღუთის-მშობლის მადლითა და ყოველთა წმიდათა ღუთისათა, ჯვარითა და მადლითა და ათორმეტთა მოციქულთა, ჯვარითა წმიდათა ექვსთა კრებათა, მადლითა ყოველთა მღვდელთ მოძღვართა მოსრულთა და მომავალთა, და მზღვეველიმცაა არს ჩუენთა ცოდვათა წინაშე ღუთისა და ჰრისხავნმცა ესე წმინდანი მახარებელნი და წმიდა გიორგი, მთავარი ყოველთა მოწამეთა. დიდება ღმერთსა ჩუენსა საკვირველთ მოქმედსა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე ამინ.

მღ. მ. ხელაევი

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

3 სექტემბერს

პეტერბურგი. „Собраніе Узаконеній"-ეში დაბეჭდილია დადგინება იმის თაობაზედ, რომ ბაქოში ბირჟა იმართებაო.

ვისოკო-ლიტოვსკი. (მოწერილი ამბავი „Правительств. Вѣст."-ისა). გუშინ დილის 9 საათზედ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი გიორგი და ვლადიმერ ალექსანდრეს ძენი და წევრნი ამალისანი წაბრძანდნენ იმ ჯარის დასათვალიერებლად, რომელიც დაესწრო ალლუმსა. როცა ალლუმი გათავდა, ნაშუადღევის 3 საათზედ, მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი პირ და-პირ რკინის გზის სადგურზე წაბრძანდნენ. აქედამ მათი უდიდებულესობანი გაემართნენ ლუბოსნის ტყეისკენ. აქ რამდენსამე დღეს გაატარებენ ნადირობაში. მათ უდიდებულესობას გაჰყვნენ: დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უნცროსი, მინისტრი საიმპერატორო სასახლისა, სეფე-ქალნი ხელმწიფის კარისანი გრაფინიები გოლენიშჩევ-კუტუზოვებისა, გენერალ-ადიუტანტი გერმანიის იმპერატორისა ვერდერი, გამგებელი უმთავრესის საიმპერატორო სასახლისა რიხტერი, გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი, უფროსი გამგებელი საიმპერატორო სანადირო საქმეებისა თავ. ბარიათინსკი, ფლიგელ-ადიუტანტები თთ. ობოლენსკი და შერემეტიევი, თავი დოსტაქარი (лейбъ-хирургъ) გირში და აკადემიკოსი ზიჩი. გუშინვე ნაშუადღევის 4 საათზე მემკვიდრე ცესარევიჩი და მისი ძმა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს-ძე წაბრძანდნენ პეტერგოფს. მათ უმაღლესობას ეახლა გენერალ-ადიუტანტი დანილოვიჩი. ამავე მატარებლით წაბრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე უფროსი, პრინცი ოლდენბურგისა და მინისტრები: განნოვსკი და გირსი.

ზადონსკი გუშინ მოვიდა აქ გემი „Надежда" და უკან მოჰყვებოდა ზედ-გამოზმული დიდი ნავი ქვის ნახშირით სავსე. გემი უნდა ელცამდე ავიდეს და უნდა პირველად გაიაროს ახალი გზა კალაჩიდამ მდ. დონის ყელება.

სოფია. აქაური რუსეთის საგენერალო საელჩოს გამგებელი ბოგდანოვი პეტერბურგს წავიდა.

ლონდონი. გარეშე-საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განუმარტა საზოგადოებათა პალატას, რომ ბოლგარიაში დაწესებული რეგენტობა ეშესაბამება კონსტიტუციის წესსაო, როგორი წესიც-კი შეეფერება ეხლანდელს საქმის ვითარებასაო და რომ, ეტყობა, ყველა პოლიტიკურნი დასნი ბოლგარიისანი მზად არიან ხელი შეუწყონ მშვიდობიანობის დამყარებასაო.

ინგლისის გამმიჯვნელთ კომისიის წევრნი ხვალ ინდოეთში მიდიან.

პეტერბურგი სამხედრო აგენტად ნამყოფი ვენაში გენერალი კაულბარსი დანიშნულია დიპლომატიურ აგენტად სოფიაში, სადაც წავიდა კიდეცაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

5 დღე **პარასკევი**. წინ.-მეტყ. ზაქარიასი და წმ. ელისაბედისა, ქალწ.-მოწ. რაისასი. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. ლავრენტისა. სომეხ. მარხვაა. ერეკლემ დაქირავებულის ჯარით სრულიად დაამარცხა აჯი-ჩელების შეილი, 1752 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—25. ტფილისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7; მთვარე ამოდის 8—30, ჩადის 9—50.

6 დღე **შაბათი**. მთავარ-ანგელოზ მიქაელისა. კათოლ. წმ. ქალწ. როზა ვიტერბუნსკისა. სომეხ. ნიკიის წმ. კრების 318 მამა მთავართა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—5; მთვარე ამოდის 9—9, ჩადის 9—57.

7 დღე **კვირა**. მოწ. სოზონტისა. კათოლ. მე-8 დღე წმ. მფარველთა ანგელოზთა დღესასწაულისა. სომეხ. ალების ღამე სურბ ხაჩისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუადღე 11—53—43. ტფილისში მზე ამოდის 5—44, ჩადის 6—3; მთვარე ამოდის 9—42, ჩადის 10—54.

8 **ორშაბათი**. შობა ყოვლად წმინდის ღვთის მშობლისა. კათოლ. შობა ყოვ. წმ. ღვთის-მშობ. მარიამისა. სომეხ. შობა ღვთის-მშობლისა. 1 დღე ამაღლების მარხვისა. ტფილისში მოხდა V არხეოლოგიური კრება, 1881 წ. თავადი ციციანოვი დაინიშნა მთელის საქართველოს მთავარ მართებლად, 1802 წ. ტფილისში გაიმართა პირველი საქალებო პროგიმნაზია, 1873 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—21. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—1; მთვარე ამოდის 10—39, ჩადის 11—55.

9 დღე **სამშაბათი**. წმ. მშობელთა წმ. ღვთის-მშობლისა იოაკიმ და ანნასი. კათოლ. ღვთის-მსახურება ყოვლად წმ. ქალწულის დაბადებაზედ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—0. ტფილისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—0; მთვარე ამოდის 11—34, ჩადის 12—52.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 იელისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი.	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . .	9	22	9	24
ნატანები. .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი.	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი. . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

განცხადებანი

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ აგრეთვე.

პეტრე მირიანაშვილი

ადრესი „ივერიის" რედაქციაში.

(3—1)

ტფილისის საქალაქო გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ დღეიდამ გამგეობის სადგომში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე შეიძლება ჰნახოს ყველამ სიები ქალაქის ამომრჩეველთა ოთხის წლის ვადითა 1887—1890 წლამდე. ვინც უკანონოდ არის ჩაწერილი, ან სრულიად არ ჩაგეიწერია, შეუძლიანთ თავისი უთანხმოება შეატყობინოს გამგეობას სექტემბრის 7-იდამ 21-მდე ამ დღის ზედ-დართვით. მათ უთანხმოების თაობაზედ გამგეობა შემდეგ საბჭოს მოახსენებს.

(3—2)

ინგლისის მაღაზიამ

ახალად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—4)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—12)

საბურთალოზე, **ქართველთ ქვეითის დრუჟინის** ბანაკში, დრუჟინის კანცელარიაში, 10 სექტემბერს დილის 12 საათზე იქნება **ვაჭრობა** განუმეორებლად. მსურველს შეუძლიან იჯარით აილოს ერთის წლის ვადით, 1887 წლამდე, და დაუმზადოს დრუჟინას ჯარის კაცთათვის საჭირო ტანსაცმელი და სხვა ნივთნი.

კომანდირი დრუჟინისა პოლკოვნიკი თავადი ერისთავი.

(3—3)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე